რუსული ოკუპაცია

სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებამდე, და მას შემდეგ, ჩვენი ქვეყანა არაერთი მტრის წინაშე აღმოჩენილა. მრავლად იყო შემოსევები, მსხვერპლი, გმირები თუ მოღალატეები. სწორედ თითოეული მათგანის არსებობა იწვევდა ქართველთა ეროვნული პასუხისმგებლობის გაძლიერებას.

XVI-XVII საუკუნეები მეტად მძიმე ხანა იყო ქართველთათვის. გაძლიერებული ირან-ოსმალეთის ერთ-ერთი სამიზნე სწორედ საქართველო იყო. საქართველო ის ქვეყანაა,რომელსაც ყველაზე მეტად შეეფერება ნაპოლეონ ბონაპარტის სიტყვები: „ქვეყნის ისტორიას მისი გეოგრაფია განსაზღვრავს“. ამ პერიოდში ჩნდება რუსეთ-საქართელოსურთიერთობის პირველინიშნები. სამწუხაროდ, მეზობელი, ერთმორწმუნე ქვეყნისგან მიტოვებული არაერთხელ აღმოვჩენილვართ. საერთო რელიგია დიდ როლს თამაშობს პოლიტიკურ ურთიერთობებში და სწორედ ამ ფაქტმა ჩამოუყალიბა ქართველ საზოგადოებას რუსეთის მიმართ ნდობის ფაქტორი. ჩრდილოელი მეზობელი თავდაპირველად დიპლომატიურ, მშვიდობიან პოლიტიკას ატარებდა. მიუხედავად მრავალი ღალატისა ქართველ მეფეებს მაინც ჰქონდათ ერთმორწმუნე რუსეთის იმედი, რის შედეგადაც 1783 წელს დაიდო გეორგიევსკის ტრაქტატი, რომლის მიხედვითაც რუსეთი აღიარებდა ქართლ-კახეთის სამეფოს ავტონომიას და ვალდებულებას იღებდა დახმარებოდა მას გარეშე მტრებთან ბრძოლაში. სამწუხაროდ, რუსეთმა კვლავ არ შეასრულა დანაპირები და ერეკლე II ჯართან ერთად მტრის წინაშე მარტო დატოვა. დაირღვა ტრაქტატის პირობები, მაგრამ ერეკლე II ხელშეკრულებისგან ვერ გათავისუფლდა. მეფის გარდაცვალების შემდეგ კი რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა ანექსიის მანიფესტი დაამზადა მაშინ, როდესაც ერეკლეს ვაჟი, გიორგი XII, კვლავ ცოცხალი იყო.

სწორედ ამ პერიოდიდან იწყება საქართველოს რუსიფიკაციის პროცესი. თანდათან გაუქმდა სამეფოები და სახელმწიფოში რუსული ენა დამკვიდრდა. რუსეთმა ტერმინი -„საქართველოს“ გამოყენებაც კი აკრძალა და პრესაში მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების მოხსენიება იყო შესაძლებელი. რუსეთის გავლენის ქვეშ აღმოჩენილმა საქართველომ მხოლოდ სამი წლით(1918-1921)მოახერხა

დამოუკიდებელი საქართველოს სტატუსით არსებობა. 1921 წელს წითელი არმიის შემოჭრის შემდეგ საქართველო, როგორც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ისე გამოცხადდა. სსრკ-მ იცოდა, რომ ქართველები კეთილსინდისიერად არ იყვნენ განწყობილნი და რუსიფიკაციის პროცესს ფარულად მიმართავდნენ. ეროვნულ ენებს ისინი დადებითად ეკიდებოდნენ, რადგან სწორედ მათი საშუალებით ფიქრობდნენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ხალხისთვის სოციალიზმის სწავლებას, მიწოდებასა და მასებში გავრცელებას. სსრკ-ს მთავარი მიზანიც სწორედ ეს იყო-მთელ მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვება. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ქართველთათთვის მაინც რუსეთთან ასოცირდებოდა და ისინი მუდმივად ეწინააღმდეგებოდნენ მათ ძალაუფლებას. ეროვნულმა სულისკვეთებამ და პატრიოტიზმა გამოიწვია ის, რომ დამპყრობელმა ტაქტიკა შეცვალა და დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები, დეპორტაციები და სიკვდილით დასჯა. კომუნისტთა იმედი, რომ ქართველები უკან დაიხევდნენ არ გამართლდა. ქართველებს გააჩნდათ მაღალი ეროვნული პასუხისმგებლობა და ვერცერთი წინააღმდეგობა ახერხებდა თავისუფლების მოპოვების სურვილით აჩქარებული გულის დამშვიდებას. ქართველმა ხალხმა 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდელობა მოიპოვა და პირველ პრეზიდენტად,ზვიად გამსახურდია დაინიშნა. სამწუხაროდ, საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის დაპირისპირებები მრავლდებოდა, ეს ყველაფერი კი სამოქალაქო ომში გადაიზარდა. ჯაბა იოსელიანის შენაერთმა,“მხედრიონმა“, ზვიად გამსახურდია ხელისუფლებას ჩამოაშორა და მის მაგივრად ედუარდ შევარდნაძე მოიწვია. სამოქალაქო ომმა აზრთა სხვადასხაობა გამოიწვია სოხუმში,აფხაზეთის არაქართულ და ქართულ მოსახლეობას შორის. 1992 წელს საქართველოში გამოცხადდა 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენა,ხოლო აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ ძველი, 1925 წლის კონსტიტუცია აღადგინა. აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისმა ორ დღეში გააუქმა, რასაც, რასაკვირველია, სოხუმში უარყოფითი რეაქციები მოჰყვა. ცენტრსა და რეგიონს შორის დაძაბული ურთიერთობა 22 დღეში შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, ვლადისლავ არძინბამ, დახმარების მიზნით მიმართა საერთაშორისო ორგანიზაციებს. თავდაპირველად,ის რუსეთისგანაც ელოდა დახმარებას. რუსეთმა მხოლოდ 1992 წელს სცადა სადავეების ხელში აღება, როდესაც საომარი მოქმედებები სრული მასშტაბით მიმდინარეობდა.რუსეთის პრეზიდენტმა, ბორის ელცინმა, ორგანიზება გაუწია ცეცხლის შეწყვეტის ხელმოწერის ორგანიზებას. არცერთი მხარე აპირებდა დათმობაზე წასვლას და შესაბამისად,საომარი მოქმედებები არ შეწყვეტილა. “აფხაზეთის ომის“მნიშვნელოვანი ნაწილია გაგრის დაკარგვა.ეს უკანასკნელი აფხაზი სეპარატისტების კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა. ამ პერიოდიდან ედუარდ შევარდნაძემ უკვე აშკარა ბრალი დასდო რუსეთს საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევაზე. საბოლოო ჯამში, 250 ათასამდე ქართველი იძლებული გახდა,რომ გაქცეულიყო მშობლიური მიწიდან. დევნილთა უდიდესი ნაწილი სვანეთის უღელტეხილის გავლით გადაადგილდებოდა.მარშუტი რთული იყო,გზაში 500-მდე ადამიანი გაიყინა.1992 წელს დაწყებული საომარი მოქმედებები „ქართულ-აფხაზურ კონფლიქტად“ მოიხსენიება,მაგრამ მეტი ჭეშმარიტებაა მისი „ქართულ-რუსული კონფლიქტით“ ჩანაცვლება.რუსეთმა მოაწყო აფხაზეთის

მოსახლეობის გენოციდი და ეთნოციდი. ეს იყო რუსული ოკუპაციის პირველი ნიშნები,როდესაც საქართველომ დაკარგა საკუთარი ტერიტორიის ნაწილი.

ეს არ იყო რუსეთის მხრიდან განხორციელებული ბოლო ოკუპაცია.

"ვარდების რევოლუციის" შემდეგ, საქართველოში ხელისუფლების სათავეში მიხეილ სააკაშვილი მოვიდა. მისმა პროდასავლურმა კურსმა მეტად დააფრთხო რუსეთი, როდესაც საქართველოს ნატოში გაწევრიანების რეალური შანსები გამოიკვეთა. პუტინმა განაცხადა, რომ მას ნატოს პოზიციის საპასუხოდ "საშინაო მონახაზები" მზად ჰქონდა. მწვავე იყო სიტუაცია ცხინვალის რეგიონში, სადაც მიმდინარეობდა ქართული სოფლების დაბომბვა. 8 აგვისტოს ქართულმა შენაერთებმა ცხინვალი დაიკავეს, მაგრამ რუსული ავიაციის იერიშების შემდეგ უკან დაიხიეს. დაიბომბა გორი, ფოთის პორტი, სენაკისა და მარნეულის სამხედრო ბაზები. საბრძოლო მოქმედებების შეჩერება საფრანგეთის პრეზიდენტის, ნიკოლას სარკოზის ჩარევის შემდეგ მოხერხდა. იმ დოკუმენტის მიხედვით,რომელიც მან ჩამოიტანა, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რჩებოდა განხილვის საგნად. სარკოზიმ 12 აგვისტოს სამშვიდობო გეგმა ჯერ მოსკოვში, შემდეგ თბილისში შეათანხმა. რუსეთის პრეზიდენტმა, დიმიტრი მედვედევმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების ბრძანება 26 აგვისტოს გამოსცა. აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობა აღიარა ვენესუელამ, ნიკარაგუამ, ტუვალუმ და ვანუატუმ. მოგვიანებით კი, როდესაც ვანუატუმ და ტუვალუმ საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარეს, აღიარება უკან წაიღეს. სწორედ აქ ჩნდება კითხვა, არის თუ არა რუსეთი გამარჯვებული მხარე, როდესაც მისი ძალაუფლება ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამზე მეტმა სახელმწიფომ არ აღიარა.

ზემოაღნიშნული ბოლო მოვლენიდან 12 წელი გავიდა. სამწუხაროდ, ოკუპაცია დღესაც გრძელდება არა ზედმეტად თვალსაჩინოდ, არამედ ფარულად. მსგავსი მდგომარეობა კი საბოლოოდ უმძიმეს შედეგამდე მიგვიყვანს. ბორდერიზაცია-ასე უწოდებენ იმ პროცესს, რომელიც რუსეთმა 2008 წლის ომის შემდეგ დაიწყო ოკუპირებული ტერიტორიების გარშემო და დღესაც გრძელდება. ქართველ ხალხში დიდია ენთუზიაზმი იმისა, რომ დაიბრუნონ დაკარგული ტერიტორიები. მიუხედავად ტერიტორიული სრულყოფის ამბიციისა, გასათვალისწინებელია აფხაზთა სურვილი, უნდათ თუ არა საქართველოს გავლენის ქვეშ დაბრუნება. ამ კითხვაზე საპასუხოდ კი მოსახლეობის უმრავლესობის ნაწილის განწყობაა მნიშვნელოვანი.

გამოყენებული წყაროები:

https://www.amerikiskhma.com/a/a-54-2007-08-19-voa1-93097244/522213.html
https://www.allnews.ge/sazogadoeba/155188-%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90,-%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%AA-%E1%83%90%E1%83%A0-%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%92%E1%83%95%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%92%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98.html
https://rc-services-assets.s3.eu-west-1.amazonaws.com/s3fs-public/Georgian-Abkhaz_PPP_Geo.pdf
https://factcheck.ge/ka/story/30489-rusuli-mtsotsavi-okupatsia-tsiphrebshi

ავტორი: ნანუ მენთეშაშვილი